სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში 2015-2025 წლებში: მაკროეკონომიკური და ფისკალური ფაქტორები ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში.

მარიამ იქაიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია სურმანიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2026

განაცხადი

„როგორც წარდგენილი საშინაო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მარიამ იქაიძე, 09.06.2026.

აბსტრაქტი

თანამედროვე ეპოქაში ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარება ძირეულად ცვლის მოთხოვნებს შრომის ბაზარზე. აღნიშნული პროცესი სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოსთვის, სადაც ტექნოლოგიური პროგრესის ტემპი ხშირად უსწრებს სამუშაო ძალის ციფრულ მზაობას. ეს კი იწვევს ეკონომიკურ დისბალანსს და ხელს უწყობს ქვეყანაში სტრუქტურული უმუშევრობის ჩამოყალიბებას. წინამდებარე ნაშრომის მიზანია 2015-2025 წლების პერიოდში საქართველოში მიმდინარე სტრუქტურული უმუშევრობის ბუნების სიღრმისეული შესწავლა. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია, თუ რა როლს თამაშობს უმუშევრობის ამ ფორმის ჩამოყალიბებაში ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხასიათი, სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა და მიმდინარე ციფრული ტრანსფორმაცია.

დასახული მიზნების მისაღწევად ნაშრომში გამოყენებულია თეორიული მასალისა და პრაქტიკული ემპირიული კვლევის სინთეზი. მაკროეკონომიკური ტენდენციებისა და ოფიციალური სტატისტიკის ანალიზთან ერთად, კვლევის ძირითად მეთოდად გამოყენებულ იქნა **პირველადი რაოდენობრივი კვლევა ანონიმური ანკეტირების (გამოკითხვის) სახით**, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შრომის ბაზრის აქტიურმა წარმომადგენლებმა.

ამ მეთოდით მოპოვებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ბოლო ათწლეულში საქართველოში დაფიქსირებული ეკონომიკური განვითარება ხასიათდება „უსამუშაო“ ტენდენციით, რადგან ზრდა პროპორციულად არ აისახა ახალი სამუშაო ადგილების მასობრივ შექმნაზე. კვლევამ აჩვენა რომ ტექნოლოგიური პროგრესი მასობრივად არ აქრობს სამუშაო ადგილებს, ორგანიზაციების უმრავლესობაში პოზიციების რაოდენობა გაიზარდა ან სტაბილური დარჩა და მომავალშიც მსგავსი მოლოდინია. თუმცა, გამოიკვეთა უნარების მწვავე შეუსაბამობა: ბაზარზე ციფრულ კომპეტენციებზე მოთხოვნის მკვეთრი ზრდის ფონზე, მუშახელის უნარები უპირატესად საბაზისო

დონეზეა, რაც იწვევს შრომის პროდუქტიულობის ვარდნას. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პოლიტიკის ჭრილში გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო გადამზადების კურსები ხშირად არაეფექტურია და აცდენილია ბაზრის რეალურ საჭიროებებს, ხოლო მოქალაქეებისთვის კვალიფიკაციის დამოუკიდებლად ამაღლების მთავარ ბარიერად ფინანსური ხარჯები და ინფორმაციის ნაკლებობა სახელდება.

კვლევის შედეგად სრულად დადასტურდა ნაშრომის საწყისი ჰიპოთეზა, რომ საქართველოში უმუშევრობის ერთ-ერთი მიზეზი არის არა სამუშაო ადგილების ფიზიკური დეფიციტი, არამედ სტრუქტურული შეუსაბამობაა (Skills Mismatch). პრობლემის გადასაჭრელად ნაშრომში ჩამოყალიბდა რეკომენდაციები, რომლებიც გულისხმობს სახელმწიფო სასწავლო პროგრამების გადაყვანას მოთხოვნაზე ორიენტირებულ მოდელზე, კერძო სექტორის მხრიდან თანამშრომელთა გადამზადების გრძელვადიან ინვესტიციად აღიარებას და ერთიანი საინფორმაციო ციფრული პლატფორმის შექმნას. ნაშრომი წარმოადგენს სამეცნიერო შედეგს, რომელიც გაკრვეულ საფუძველს უმზადებს მომავალ მკვლევარებს, რათა მათ უფრო ღრმად შეისწავლონ ტექნოლოგიების გავლენა კონკრეტული სექტორების ჭრილში და გაზომონ საგანმანათლებლო ინვესტიციების რეალური ეკონომიკური უკუგება.

საკვანძო სიტყვები: სტრუქტურული უმუშევრობა, ციფრული ტრანსფორმაცია, უნარების შეუსაბამობა, ხელოვნური ინტელექტი, დასაქმების პოლიტიკა, შრომის პროდუქტიულობა.

Abstract

In the contemporary era, the rapid development of digital technologies and artificial intelligence is fundamentally transforming the demands of the labor market. This process poses a significant challenge for Georgia, where the pace of technological progress often outstrips the digital readiness of the workforce. This asynchronous dynamic generates an economic imbalance and contributes to the formation of structural unemployment within the country. The purpose of this thesis is to conduct an in-depth study of the nature of structural unemployment in Georgia during the 2015–2025 period. Within the scope of the research, the study analyzes the role that the character of national economic growth, state educational policy, and the ongoing digital transformation play in shaping this form of unemployment.

To achieve the set objectives, this paper employs a synthesis of theoretical literature and practical empirical research. Alongside the analysis of macroeconomic trends and official statistics, the primary research method utilized is a primary quantitative study conducted in the form of an anonymous questionnaire (survey), with the active participation of current labor market representatives.

The data obtained through this method revealed that the economic development observed in Georgia over the last decade is characterized by a "jobless" growth trend, as this growth has not proportionally translated into the mass creation of new jobs. The research demonstrates that technological progress does not systematically eliminate jobs; in the majority of organizations, the number of positions increased or remained stable, and a similar outlook is projected for the future. However, a severe skills mismatch was identified: against the backdrop of a sharp increase in the demand for digital competencies, the workforce's skills remain predominantly at a basic level, leading to a decline in labor productivity. Furthermore, regarding educational policy, it was revealed that state retraining courses are frequently ineffective and detached from real market needs, while financial costs and a lack of information are cited as the main barriers preventing citizens from independently upgrading their qualifications.

The research results fully validate the initial hypothesis of the thesis, indicating that a key cause of unemployment in Georgia is not a physical deficit of jobs, but rather a structural mismatch (Skills Mismatch). To address this issue, the paper formulates recommendations that involve shifting state training programs toward a demand-driven model, encouraging the private sector to recognize employee retraining as a long-term investment, and establishing a unified digital information platform. This thesis represents a scientific outcome that establishes a solid foundation for future researchers to examine the impact of technology within specific sectors more deeply and to measure the real economic return on educational investments.

Keywords: Structural Unemployment, Digital Transformation, Skills Mismatch, Artificial Intelligence, Employment Policy, Labor Productivity.